



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის ანგარიში



მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების

მონიტორინგის ანგარიში

სარედაქციო ჯგუფის შემადგენლობა:

ხატია გაბინაშვილი
სტეფანე წიკლაური
კონსტანტინე კანდელაკი
გიორგი აბულაძე

პუბლიკაცია გამოცემულია ორგანიზაციების „სტეფანწმიდა“ და „მწვანე კავკასია“-ს მიერ, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი (KAS).

პუბლიკაციის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციები „სტეფანწმიდა“ და „მწვანე კავკასია“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა თუ კონსორციუმის პარტნიორთა შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა



შინაარსი

მონიტორინგის მიზანი.....	4
მეთოდოლოგია.....	5
მიზანი 1. გარემოს დაცვა, მდგრადი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება:.....	7
მიზანი 2. რეგიონის ინოვაციური (კლასტერული) მდგრადი განვითარების სისტემის ჩამოყალიბება.....	14
მიზანი 3. საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და ექსპორტი.....	18
მიზანი 4. სოფლის მეურნეობის განვითარება.....	23
მიზანი 5. ტურიზმის მდგრადი განვითარება.....	36
მიზანი 6. ეკონომიკის ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვა.....	45
მიზანი 7. განათლების, კულტურისა და სპორტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.....	50
მიზანი 8 ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.....	60
მიზანი 9 სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება.....	70
მიზანი 10 სოციალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება.....	75
მიზანი 11 რეგიონული და მუნიციპალური მართველობისა და თვითმმართველობის სრულყოფა.....	86
დასკვნები.....	95
დანართი 1.....	97
დანართი 2.....	98
დანართი 3.....	101
დანართი 4.....	104
დანართი 5.....	108

დანართი 6.....	111
დანართი 7.....	113
დანართი 8.....	116

მონიტორინგის მიზანი

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №1285 განკარგულებით დამტკიცდა მცხეთა მთიანეთის რეგიონის 2016-21 წლების განვითარების სტრატეგია. ამავე წელს ყველა რეგიონში მომზადდა რეგიონების განვითარების სტრატეგიების განხორციელების ორ წლიანი სამოქმედო გეგმა (2016-2017), რომლებიც სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებმა მოიწონეს. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობების, აგრეთვე სამოქალაქო სექტორისა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები.

ამ გეგმებში აისახა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაგეგმილი კონკრეტული პროგრამები, ასევე, მუნიციპალიტეტების მიერ ან მათთან თანამშრომლობით განსახორციელებელი ყველა ის პროექტი, რომელსაც გააჩნია რეგიონული ან ადგილობრივი მნიშვნელობა. სამოქმედო გეგმების მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს პროექტები, რომლებიც ფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ). ამ ფონდის ნაწილის განკარგვა რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ ხდება. 2013 წლის თებერვალში მთავრობამ დაამტკიცა რგპფ-დან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები, რომლითაც შემოღებულ იქნა შედარებით დემოკრატიული პროცედურა, როდესაც ფონდში წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული პროექტს ჯერ მუნიციპალიტეტის საკრებულო იწონებს და მხოლოდ ამის შემდეგ აფასებს მის ტექნიკურ მხარეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

2015 წლიდან რგპფ-დან მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების აუცილებელი წინაპირობა გახდა მათი ასახვა რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში, ხოლო თავად ამ გეგმის შემუშავებისათვის მომზადდა და მთავრობამ მოიწონა სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც გაიწერა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცედურები. კერძოდ, მუნიციპალიტეტების მიერ ფონდში წარსადგენი საპროექტო წინადადებები ჯერ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებთან შექმნილ, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისგან შემდგარ სამუშაო ჯგუფებში განიხილება, გადის ფილტრაციასა და რანგირებას სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. ამით შედარებით გაიზარდა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების მიერ დასახული გეგმების გამჭვირვალობა და გაჩნდა მათ შემუშავებაში საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობები.

ვინაიდან საზოგადოებას უნდა ჰქონოდა ობიექტური ინფორმაცია, სტრატეგიის ამოცანების შესაბამისად, რამდენად ადეკვატურად იხარჯება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები, აუცილებელად მიგვაჩნდა, რეგიონების განვითარების სტრატეგიებზეც სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელება.

რადგანაც, დღეისათვის მცხეთა - მთიანეთის რეგიონული განვითარების სტრატეგიის მოქმედების ექვს წლიანი პერიოდის ორი მესამედია გასული, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ჩატარებულიყო სტრატეგიის მიერ 2016-2019 წლებში დასახული ამოცანების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი.

მცხეთა - მთიანეთის 2016-2021 წლების რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის მეთოდოლოგია შემუშავდა და მონიტორინგი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე კავკასია“-სთან თანამშრომლობით. პროექტი „მცხეთა - მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი“ განხორციელდა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა (2017 -2020)“ .

მეთოდოლოგია

სტრატეგიის თითოეული ამოცანისათვის განსაზღვრულ იქნა მისი შინაარსის შესაბამისი ერთი ან რამდენიმე ხარისხობრივი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც, საჯარო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია სტრატეგიის ამოცანის შესრულების შეფასება. ხარისხობრივი კრიტერიუმებით შეფასება ხდება 4 ბალიანი შკალით - 0,1,2,3 ქულებით (თითოეული კრიტერიუმის გრადაცია დეტალურად მოცემულია „ქვემო ქართლის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის მეთოდოლოგიაში“, greencaucasus.org.ge-პუბლიკაციები). იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებამ შეფასებისთვის საჭირო ინფორმაცია არ გასცა და მისი მოპოვება სხვა ღია წყაროებიდანაც ვერ მოხერხდა, ამოცანის შესრულება შეფასდა 0 ქულით.

მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაცია მოგვაწოდეს შემდეგმა საჯარო ინსტიტუციებმა:

- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია;
- შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია;
- გარემოს ეროვნული სააგენტო;
- შპს საქართველოს მელიორაცია;
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი;
- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;
- ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო;
- ველური ბუნების ეროვნული სააგენტო;
- მემკვიდრეობის სააგენტო;
- სურსათის ეროვნული სააგენტო;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;
- ეროვნული სატყეო სააგენტო;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტო;
- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო;

სტრატეგიის 11 მიზნისა და 136 ამოცანის განხორციელების შესაფასებლად შემუშავებულ იქნა სულ 173 ხარისხობრივი კრიტერიუმი, (გრადაცია 0-დან-დან 3 ქულამდე) ამდენად, მონიტორინგის შედეგად დადგენილი სტრატეგიის განხორციელების მთლიანი მაჩვენებლის შესაძლო ამპლიტუდა მერყეობდა 0-დან 459-მდე ქულის ფარგლებში. მონიტორინგის პერიოდში (2016-2019 წლებში) სტრატეგიის თითოეული მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებები შეფასდა შესაბამისი მიზნის მიღწევისა და ამოცანების განხორციელების

კრიტერიუმების შეფასების მიხედვით მიღებული ქულების ჯამის შეფარდებით შესაძლო მაქსიმალურ ქულასთან, პროცენტებში.

მიზანი 1. გარემოს დაცვა, მდგრადი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;

შეფასება ხდება ამოცანების შესრულების 15 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა 45 (100%). მონიტორინგის შედეგად, მიზნის მისაღწევად ამოცანების შესრულება შეფასდა 29 ქულით (64,5%);

ამოცანები ფასდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

ამოცანების შესრულება

1.1 ბუნებრივი კატასტროფების რისკების, სტიქიური გეოლოგიური პროცესების საფრთხის და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განსაკუთრებით მოწყვლადი ტერიტორიების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;

0	1	2	3
რეგიონში ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა რეგიონში ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება	მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა რეგიონში ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა	დამტკიცებულია/ მოწონებულია ბუნებრივი კატასტროფების რისკებისა და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმა

1.2 წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება, რეგულარული კონტროლი და ზედაპირული წყლებისა და ჰაერის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებების ხელშეწყობა;

0	1	2	3
რეგიონში წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება და რეგულარული კონტროლისაკენ მიმართული ღონისძიებები მონიტორინგის პერიოდში არ განხორციელებულა	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა რეგიონში წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება და რეგულარული კონტროლისაკენ მიმართული ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში დაიწყო რეგიონში წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება რეგულარული კონტროლის და ნაწილობრივ მიმდინარეობდა რეგულარული კონტროლისაკენ მიმართული ღონისძიებები	სრულად ჩამოყალიბდა რეგიონში წყლის, ჰაერისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგის სისტემა და სრულად მიმდინარეობს რეგულარული კონტროლისაკენ მიმართული ღონისძიებები

0	1	2	3
რეგიონში ზედაპირული წყლებისა და ჰაერის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებების ხელშეწყობისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება მონიტორინგის პერიოდში არ მომხდარა	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა ზედაპირული წყლებისა და ჰაერის დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობისკენ მიმართული ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში ნაწილობრივ მიმდინარეობდა ზედაპირული წყლებისა და ჰაერის დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობისკენ მიმართული ღონისძიებები	რეგიონში სრულად მიმდინარეობს ზედაპირული წყლებისა და ჰაერის დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობისკენ მიმართული ღონისძიებები

1.3 ტყეების მდგრადი მართვის უზრუნველყოფა და შესაბამისი საკადრო პოლიტიკის გატარება;

0	1	2	3
ტყეების მდგრადი მართვის მიზნით(შესაბამისი საკადრო პოლიტიკა) მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	ტყეების მდგრადი მართვის მიზნით(შესაბამისი საკადრო პოლიტიკა) მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები	ტყეების მდგრადი მართვის მიზნით(შესაბამისი საკადრო პოლიტიკა) მონიტორინგის პერიოდში ნაილობრივ დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	მონიტორინგის პერიოდში სრულად განხორციელდა ტყეების მდგრადი მართვის მიზნით შესაბამისი საკადრო პოლიტიკის გატარება

1.4 გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება;

0	1	2	3
გარემოსდაცვით საკითხებზე რეგიონის მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	გარემოსდაცვით საკითხებზე რეგიონის მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა კამპანიები	გარემოსდაცვით საკითხებზე რეგიონის მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა ერთი კამპანია	გარემოსდაცვით საკითხებზე რეგიონის მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ჩატარდა რამდენიმე კამპანია

1.5 რეგიონის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის ინოვაციური სისტემების ჩამოყალიბება;

0	1	2	3
რეგიონის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	მონიტორინგის პერიოდში რეგიონის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით მხოლოდ დაიგეგმა ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში რეგიონის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ნაწილობრივ განხორციელდა ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში რეგიონის დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ღონისძიებები სრულად გეგმის განხორციელდა

0	1	2	3
რეგიონის დაცული ტერიტორიების მმართველ ინოვაციური სისტემების ჩამოყალიბება არ დაწყებულა	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა რეგიონის დაცული ტერიტორიების მმართველ ინოვაციური სისტემების ჩამოყალიბება	მონიტორინგის პერიოდში ნაწილობრივ დაიწყო დაცული ტერიტორიების მმართველ ინოვაციური სისტემების ჩამოყალიბება	მონიტორინგის პერიოდში სრულად ჩამოყალიბდა დაცული ტერიტორიების მმართველ ინოვაციური სისტემები

1.6 ტრანსსასაზღვრო და ტერიტორიათაშორის გარემოსდაცვით თანამშრომლობაში და საქმიანობებში რეგიონის ჩართულობის უზრუნველყოფა;

0	1	2	3
ტრანსსასაზღვრო და ტერიტორიათაშორის გარემოსდაცვით თანამშრომლობაში მონიტორინგის პერიოდში რეგიონი ჩართული არ იყო	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა ტრანსსასაზღვრო და ტერიტორიათაშორისი გარემოსდაცვითი პროექტები	მონიტორინგის პერიოდში ტრანსსასაზღვრო ან ტერიტორიათაშორისი გარემოსდაცვითი პროექტები განხორციელდა ერთ ქვეყანასთან	მონიტორინგის პერიოდში ტრანსსასაზღვრო ან ტერიტორიათაშორისი გარემოსდაცვითი პროექტები განხორციელდა რამოდენიმე ქვეყანასთან

1.7 გარემოს დაბინძურების ზონირებისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება, მ.შ. რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული შესანახისა და დეკომისირების პირობებში მყოფი ბირთვული რეაქტორის რეგიონის საზღვართან ყოფნის გათვალისწინებით;

0	1	2	3
გარემოს დაბინძურების ზონირებისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება არ დაწყებულია	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა გარემოს დაბინძურების ზონირებისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება	მონიტორინგის პერიოდში ნაწილობრივ დაიწყო გარემოს დაბინძურების ზონირებისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება	მონიტორინგის პერიოდში სრულად შემუშავდა გარემოს დაბინძურების ზონირებისა და მონიტორინგის სისტემა

1.8 ავტომატური გამონაბოლქვის უშუალოდ გარემოზე ზემოქმედების და ჰაერის დაბინძურების შემცირებაზე ზრუნვა;

0	1	2	3
ავტომატური გამონაბოლქვის უშუალოდ გარემოზე ზემოქმედების და ჰაერის დაბინძურების შემცირებაზე ზრუნვა; არ დაწყებულია	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში ნაწილობრივ დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება	მონიტორინგის პერიოდში სრულად დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება

1.9 ენერგოეფექტური, გარემოსდამზოგავი ტექნოლოგიების, ალტერნატიული ენერგიის წყაროების დანერგვა-განვითარება;

მონიტორინგის პერიოდში გატარებული ღონისძიებების შეფასება ხდება ერთი კრიტერიუმით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

0	1	2	3
მონიტორინგის პერიოდში ენერგოეფექტური, გარემოსდამზოგავი ტექნოლოგიების, ალტერნატიული ენერგიის წყაროების დანერგვა-განვითარების მიზნით არ განხორციელებულა	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა ენერგოეფექტური, გარემოსდამზოგავი ტექნოლოგიების, ალტერნატიული ენერგიის წყაროების დანერგვა-განვითარების მიზნით შესაძლებლობის შესწავლა	მონიტორინგის პერიოდში განხორციელდა ენერგოეფექტური, გარემოსდამზოგავი ტექნოლოგიების, ალტერნატიული ენერგიის წყაროების დანერგვა-განვითარების მიზნით შესაძლებლობის შესწავლა	მონიტორინგის შესაძლებლობის შესწავლის საფუძველზე მომზადდა საინვესტიციო პაკეტი/პროექტები

1.10 ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, რესურსების მართვისა და მონიტორინგის ღონისძიებების ხელშეწყობა;

0	1	2	3
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, რესურსების მართვისა და მონიტორინგის ღონისძიებების ხელშეწყობის განხორციელება არ დაწყებულია	მონიტორინგის პერიოდში შედგა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, რესურსების მართვისა და მონიტორინგის ღონისძიებების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა	მონიტორინგის პერიოდში ნაწილობრივ დაიწყო ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, რესურსების მართვისა და მონიტორინგის ღონისძიებების ხელშეწყობა	მონიტორინგის პერიოდში სრულად მიმდინარეობს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, რესურსების მართვისა და მონიტორინგის ღონისძიებების ხელშეწყობა

1.11 ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება;

0	1	2	3
ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება არ დაწყებულია	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში ნაწილობრივ დაიწყო ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში სრულად დაიწყო ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებები

1.12 თევზჭერის, ნადირობისა და ველური მცენარეების შეგროვების მდგრად სისტემაში მოყვანა, კონტროლის ეფექტური მექანიზმების შექმნა;

0	1	2	3
კონტროლის ეფექტური მექანიზმების შექმნა დაწყებულია	მონიტორინგის პერიოდში მხოლოდ დაიგემა კონტროლის ეფექტური მექანიზმების შექმნა	მონიტორინგის პერიოდში ნაწილობრივ დაიწყო კონტროლის ეფექტური მექანიზმების შექმნის ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში სრულად შექმნილია კონტროლის ეფექტური მექანიზმები

1.13 მდინარეების ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება;

0	1	2	3
ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ გატარებულა	მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა რეგიონში ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმის პროექტის შემუშავება	მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა რეგიონში ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმის პროექტის განხილვა	დამტკიცებულია/მოწონებულია რეგიონში ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმა

მიზანი 2. რეგიონის ინოვაციური (კლასტერული) მდგრადი განვითარების სისტემის ჩამოყალიბება

შეფასება ხდება ამოცანების შესრულების 7 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა 21 (100%). მონიტორინგის შედეგად, მიზნის მისაღწევად ამოცანების შესრულება შეფასდა 10 ქულით (47.6%)

ამოცანები ფასდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

2.1 რეგიონული ეკონომიკური რეფორმის პაკეტის შექმნა, კლასტერულ სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპების შემუშავება და, მასზე დაფუძნებული, განვითარების პროექტების ინიცირება; რეგიონის უნიკალური კონკურენტული უპირატესობის, სამუშაო ადგილებისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა;

0	1	2	3
ეკონომიკური რეფორმის პაკეტი არ შექმნილა	ეკონომიკური რეფორმის პაკეტი შესაქმნელად დაიწყო მხოლოდ ინფორმაციის მოძიება	დაიწყო ეკონომიკური რეფორმის პაკეტზე მუშაობა	ეკონომიკური რეფორმის პაკეტი შექმნილია

0	1	2	3
კლასტერულ სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპების შემუშავება არ დაწყებულა	დაიწყო კლასტერულ სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპების შემუშავება	შემუშავდა კლასტერულ სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპები	განხორციელდა კლასტერულ სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებზე დაფუძნებული პროექტების ინიცირება

2.2 რეგიონის სტრატეგიული განვითარების სისტემის საფუძვლის შესაქმნელად მცხეთა-მთიანეთის აქტივების რუკის შექმნა;

0	1	2	3
მცხეთა-მთიანეთის აქტივების რუკა არ შექმნილა	აქტივების რუკის შესაქმნელად დაიწყო მხოლოდ ინფორმაციის მოგროვება	დაიწყო რუკაზე მუშაობა	აქტივების რუკა შექმნილია

2.3 რეგიონის განვითარების ინტეგრირებული გრძელი, საშუალო და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება;

0	1	2	3
განვითარების გეგმები არ შექმნილა	აქტივების რუკის შესაქმნელად დაიწყო მხოლოდ ინფორმაციის მოძიება	დაიწყო განვითარების გეგმების შემუშავება	განვითარების გეგმები შემუშავებულია

2.4 ინოვაციური სახელმწიფო შესყიდვების და საჯარო და კერძო სექტორებს შორის ტექნოლოგიური ტრანსფერის სტიმულების ინსტიტუციონალური სისტემის შექმნა;

0	1	2	3
ინოვაციური სახელმწიფო შესყიდვების და საჯარო და კერძო სექტორებს შორის ტექნოლოგიური ტრანსფერის სტიმულების ინსტიტუციონალური სისტემის შექმნა არ დაწყებულა	სისტემის შექმნის მიზნით ტარდება ცალკეული ღონისძიებები	საჯარო და კერძო სექტორს შორის სისტემის შექმნის მიზნით ტარდება ერთობლივი ღონისძიებები	სისტემა შექმნილია

2.5 რეგიონის სტრატეგიული განვითარების ადეკვატური ადგილობრივი კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების, ახალი პროფესიების დაუფლების სისტემის შექმნა;

0	1	2	3
რეგიონში მიზნობრივი ტრეინინგები და კონსულტაციები მონიტორინგის პერიოდში არ ჩატარებულა	შესწავლილ იქნა საჭიროებები, დაიგეგმა მიზნობრივი ტრეინინგები და კონსულტაციები	მონიტორინგის პერიოდში ტარდებოდა მიზნობრივი ტრეინინგები და კონსულტაციები	მონიტორინგის პერიოდში ჩატარებული მიზნობრივი ტრეინინგები და კონსულტაციები სრულად აკმაყოფილებს რეგიონში არსებულ საჭიროებებს

0	1	2	3
ახალი პროფესიების დაუფლების სისტემა არ შექმნილა	სისტემის შექმნის მიზნით ტარდება ცალკეული ღონისძიებები	დაიწყო სისტემის შექმნა	ახალი პროფესიების დაუფლების სისტემა შექმნილია

მიზანი 3. საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და ექსპორტზე

ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა

შეფასება ხდება ამოცანების შესრულების 10 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა 30 (100%). მონიტორინგის შედეგად, მიზნის მისაღწევად ამოცანების შესრულება შეფასდა 0 ქულით, რადგანაც შესაბამისი საჯარო უწყებებიდან ინფორმაცია არ მიგვიღია;

ამოცანა

3.1 მეწარმეობის იდეის პოპულარიზაცია და მეწარმეობის მსურველთა მხარდამჭერი პროექტების განხორციელება;

0	1	2	3
მეწარმეობის იდეის პოპულარიზაცია და მეწარმეობის მსურველთა მხარდამჭერი პროექტების არ განხორციელებულა	მეწარმეობის იდეის პოპულარიზაციის და მეწარმეობის მსურველთა მხარდამჭერი პროექტების განხორციელების მიზნით მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა კამპანიები	მეწარმეობის იდეის პოპულარიზაციის და მეწარმეობის მსურველთა მხარდამჭერის მიზნით განხორციელდა ერთი პროექტი	მეწარმეობის იდეის პოპულარიზაციის და მეწარმეობის მსურველთა მხარდამჭერის მიზნით მონიტორინგის პერიოდში განხორციელდა რამდენიმე პროექტი

3.2 ახალი ბიზნესის შექმნისა და არსებულის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და მხარდამჭერი პროექტების განხორციელება

0	1	2	3
ახალი ბიზნესის შექმნისა და არსებულის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და მხარდამჭერი პროექტები არ განხორციელებულა	ჩამოყალიბდა ინფრასტრუქტურა	დაწყებულია მხარდამჭერი პროექტების შემუშავება	დაწყებულია მხარდამჭერი პროექტების განხორციელება

3.3 ექსპორტზე და ინოვაციებზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების წახალისება, რეგიონული კლასტერული ინოვაციის სტრატეგიული განვითარების სისტემის დახვეწა;

0	1	2	3
მონიტორინგის პერიოდში არ განხორციელებულა ექსპორტზე და ინოვაციებზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების წახალისება	მომზადებულია წახალისების სტრატეგია	წახალისებულია ერთი საწარმო	წახალისებულია ერთზე მეტი საწარმო

3.4 რეგიონის ინოვაციური კლასტერების ფინანსური ხელშეწყობის სისტემის შექმნა და წახალისება;

0	1	2	3
ვებ- გვერდი არ შექმნილა	შემუშავებულია ვებ-გვერდის კონცეფცია	დაწყებულია ვებ-გვერდის შექმნა	ვებ-გვერდი შექმნილია და ფუნქციონირებს

3.5

რეგიონული საინოვაციო და ტექნოლოგიური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ფორმირება.

0	1	2	3
რეგიონული საინოვაციო და ტექნოლოგიური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი არ შექმნილა	შექმნილია რეგიონული საინოვაციო და ტექნოლოგიური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ფორმირების კონცეფცია	დაწყებულია რეგიონული საინოვაციო და ტექნოლოგიური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ფორმირება	შექმნილია და ფუნქციონირებს რეგიონული საინოვაციო და ტექნოლოგიური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრ

3.6 რეგიონში წარმოებული პროდუქტის ვიზუალური და ვერბალური სლოგანისა და ლოგოტიპის ფორმირება.

0	1	2	3
რეგიონში წარმოებული პროდუქტის ვიზუალური და ვერბალური სლოგანისა და ლოგოტიპის ფორმირება არ განხორციელებულა	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა რეგიონში წარმოებული პროდუქტის ვიზუალური და ვერბალური სლოგანისა და ლოგოტიპის ფორმირებასათვის აუცილებელი საქმიანოები	მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობდა რეგიონში წარმოებული პროდუქტის ვიზუალური და ვერბალური სლოგანისა და ლოგოტიპის ფორმირებისათვის აუცილებელი საქმიანოები	შექმნილია რეგიონში წარმოებული ერთი პროდუქტის მაინც ვიზუალური და ვერბალური სლოგანისა და ლოგოტიპის ფორმირება

3.7 თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების აქტიურად გამოყენების ხელშეწყობა;

0	1	2	3
თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების აქტიურად გამოყენების ხელშეწყობა არ ხდება	შემუშავებულია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების აქტიურად გამოყენების სტრატეგია	მიმდინარეობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების აქტიურად გამოყენების სტრატეგიის დანერგვა	თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების აქტიურად გამოყენება

3.8 საექსპორტო ბაზარზე მომხმარებელთა ინფორმირება რეგიონში წარმოებული ხარისხიანი პროდუქტებისა და უნიკალური თვისებების შესახებ ვებ-გვერდის მეშვეობით;

0	1	2	3
ვებ- გვერდი არ შექმნილა	შემუშავებულია ვებ-გვერდის კონცეფცია	დაწყებულია ვებ-გვერდის შექმნა	ვებ-გვერდი შექმნილია და ფუნქციონირებს

3.9 საინფორმაციო პაკეტების მომზადება რეგიონის ბაზრებისა და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ, მათი გავრცელება ვებგვერდით, გამოფენებსა და ბიზნეს ფორუმებში მონაწილეობით;

0	1	2	3
მონიტორინგის პერიოდში არ მომზადებულა საინფორმაციო პაკეტი,	მონიტორინგის პერიოდში დაიწყო საინფორმაციო პაკეტის მომზადება	მომზადებულია საინფორმაციო პაკეტი	მონიტორინგის პერიოდში მომზადებულია საინფორმაციო პაკეტი, და ის გავრცელებულია გამოფენებსა და ბიზნეს-ფორუმებზე

3.10 რეგიონში ლოჯისტიკური სერვისებისა და ცენტრების განვითარება.

0	1	2	3
ლოჯისტიკური ცენტრების შექმნის ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	ლოჯისტიკური ცენტრების შექმნის ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა ღონისძიებები	ლოჯისტიკური ცენტრების შექმნის ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის პერიოდში გატარდა ღონისძიებები	რეგიონში ფუნქციონირებს ლოჯისტიკური ცენტრები,

მიზანი 4. სოფლის მეურნეობის განვითარება

19 ამოცანა

შეფასება ხდება ამოცანების შესრულების 23 ხარისხობრივი კრიტერიუმის მიხედვით მიღებული ქულების ჯამით. მაქსიმალური ქულა 69 (100%). მონიტორინგის შედეგად, მიზნის მისაღწევად ამოცანების შესრულება შეფასდა 37 ქულით (53.6%)

ამოცანები ფასდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული მონაცემების საფუძველზე

4.1 მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და აგროინოვაციების დანერგვა;

	1	2	3
მეურნეობის და აგროინოვაციების დანერგვის კუთხით მონიტორინგის პერიოდში ღონისძიებები არ განხორციელებულა	მონიტორინგის პერიოდში მეურნეობის და აგროინოვაციების დანერგვის კუთხით დაიგეგმა კონკრეტული ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში რეგიონში დაინერგა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მეურნეობის და აგროინოვაციების ახალი ფორმები	დანერგილია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი მეურნეობის და აგროინოვაციების ფორმები

4.2 სასოფლო-სამეურნეო ნიადაგების კვლევა, „დიაგნოსტიკა“ და მიკრო/მაკრო ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემუშავება;

	1	2	3
--	---	---	---

სასოფლო-სამეურნეო ნიადაგების კვლევა, „დიაგნოსტიკა“ და მიკრო/მაკრო ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემუშავება არ მომხდარა	სასოფლო-სამეურნეო ნიადაგების კვლევა, „დიაგნოსტიკა“ და მიკრო/მაკრო ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემუშავება მონიტორინგის პერიოდში დაწყებულია	სასოფლო-სამეურნეო ნიადაგების კვლევა, „დიაგნოსტიკა“ და მიკრო/მაკრო ეკონომიკური განვითარების კონცეფცია შემუშავებულია	სასოფლო-სამეურნეო ნიადაგების კვლევა, „დიაგნოსტიკა“ და მიკრო/მაკრო ეკონომიკური განვითარების კონცეფცია შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად
---	---	---	--

4.3 აუთვისებელი სავარგულების ათვისება, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, სავარგულებთან მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაცია და აღურიცხავი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაციის უზრუნველყოფა;

შეფასება ხდება სამი კრიტერიუმით, მ.შ. აუთვისებელი სავარგულების ათვისების, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების და სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო სავარგულებთან მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაციის - მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათთვის ამ პარამეტრით მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით.

0	1	2	3
სამოვრებსა და სახნავ- სათეს მიწებამდე მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაცია მონიტორინგის პერიოდში არ მომხდარა	მონიტორინგის პერიოდში ტარდებოდა სამოვრებსა და სახნავ-სათეს მიწებამდე მისასვლელი ადგილობრივი სასოფლო გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები,	მონიტორინგის პერიოდში ტარდებოდა სამოვრებსა და სახნავ- სათეს მიწებამდე მისასვლელი ადგილობრივი სასოფლო გზების	მონიტორინგის პერიოდში სრულად არის რეაბილიტირებული სამოვრებსა და სახნავ- სათეს მიწებამდე მისასვლელი ადგილობრივი სასოფლო

	რეაბილიტირებულია ამ გზების ჯამური სიგრძის ნახევარზე ნაკლები	მიმდინარე შეკეთების სამუშაოები, რეაბილიტირებულია ამ გზების ჯამური სიგრძის ნახევარზე მეტი	გზები
--	---	--	-------

0	1	2	3
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში ახალი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისებისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიმართულებით ღონისძიებები არ განხორციელებულა	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა ახალი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისება და ხორციელდებოდა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიმართულებით ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში ხდებოდა ახალი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისება და ხორციელდებოდა ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები	სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისებულია სრულად და პერმანენტულად ხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები

0	1	2	3
მონიტორინგის პერიოდში რეგიონში სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის მიმართულებით ღონისძიებები არ განხორციელებულა	მონიტორინგის პერიოდში ხორციელდებოდა რეგიონში არსებული სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტები	მონიტორინგის პერიოდში ხორციელდებოდა რეგიონში არსებული სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტები და მიმდინარეობდა ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობა	სარწყავი სისტემები ფუნქციონირებს გამართულად და სრულად აკმაყოფილებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ადგილობრივ საჭიროებებს

4.4 ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების შექმნა-განვითარების, საცდელ- სადემონსტრაციო ნაკვეთების ორგანიზების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების გზით, მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა;

0	1	2	3
მონიტორინგის პერიოდში მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობა არ მომხდარა	მონიტორინგის პერიოდში ნაწილობრივ მოხდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდის ღონისძიებების განხორციელება	მონიტორინგის პერიოდში ხორციელდებოდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარების პროდუქტიულობის ზრდისკენ მიმართული ღონისძიებები	მონიტორინგის პერიოდში მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ზრდისკენ მიმართული ღონისძიებები სრულად აკმაყოფილებს ადგილობრივ საჭიროებებს

4.5 სპეციალური ფონდის ფორმირების მხარდაჭერა, რომელიც საჯარო-კერძო პარტნიორობის სქემების ამოქმედების, ბიზნეს პროექტების დაფინანსებისა და საწარმოებზე შეღავათიანი კრედიტების გაცემის გზით, ხელს შეუწყობს რეგიონში სოფლის მეურნეობისა და აგროწარმოების პრიორიტეტული სფეროების, საექსპორტო და იმპორტშემცველი პროდუქციის წარმოების განვითარებას, მიმღები პუნქტების, შემნახველი პუნქტებისა და გადანაწილების ცენტრის ორგანიზებას და ტექნოლოგიური ხაზების დანერგვას.

0	1	2	3
მონიტორინგის პერიოდში არ შექმნილა სპეციალური ფონდი	მონიტორინგის პერიოდში დაგეგმვის ეტაპზე სპეციალური ფონდის შექმნა	მონიტორინგის პერიოდში შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომელმაც ნაწილობრივ შეასრულა მისი მიზნები და ამოცანები	მონიტორინგის პერიოდში შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომელიც აბსოლუტურად ასრულების სტრატეგიის 4.5 პუნქტით გათვალისწინებულ აქტივობებს

4.6 სოფლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაზე მიმართული არსებული და მოსალოდნელი ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამებისა (მ.შ. სადაზღვევო და ფინანსური) და ფონდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება რეგიონის ფერმერებისათვის, მათში მონაწილეობასა და მიღებაში დახმარება;

0	1	2	3
მონიტორინგის პერიოდში რეგიონის ფერმერებისთვის არ მომხდარა სოფლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაზე მიმართული არსებული და მოსალოდნელი ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამებისა და ფონდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მათში მონაწილეობისა და	მონიტორინგის პერიოდში რეგიონის ფერმერებისთვის სოფლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაზე მიმართული არსებული და მოსალოდნელი ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამებისა და ფონდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება	მონიტორინგის პერიოდში მოხდა რეგიონის ფერმერებისთვის სოფლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაზე მიმართული არსებული და მოსალოდნელი ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო	მონიტორინგის პერიოდში მუდმივად ხდებოდა რეგიონის ფერმერებისთვის სოფლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარებაზე მიმართული არსებული და მოსალოდნელი ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო

მიღებაში დახმარება	მოხდა	პროგრამებისა და ფონდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მათში მონაწილეობისა და მიღებაში დახმარება	საერთაშორისო პროგრამებისა და ფონდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მათში მონაწილეობისა და მიღებაში დახმარება
--------------------	-------	--	---

4.7 ადგილობრივი მოთხოვნილებებისა და პერსპექტივების სრულად დასაკმაყოფილებლად მექანიზმების რეგიონული ცენტრის შექმნა, აუცილებელი ტექნიკით, მ.შ. მცირეგაბარიტიანი (მთიანი და მაღალმთიანი ტერიტორიების სპეციფიკა) ტექნიკით უზრუნველყოფა;

0	1	2	3
მონიტორინგის პერიოდში არ შექმნილა მექანიზმების რეგიონული ცენტრი	მონიტორინგის პერიოდში მიმდინარეობს მექანიზმების რეგიონული ცენტრის მშენებლობა	მონიტორინგის პერიოდში შეიქმნა მექანიზმების რეგიონული ცენტრი	მონიტორინგის პერიოდში შეიქმნა მექანიზმების რეგიონული ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ტექნიკით

4.8 სურსათის უვნებლობის ქმედითი სისტემის დანერგვა;

შეფასება ხდება ერთი კრიტერიუმით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო) სამმართველოს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

	1	2	3
სურსათის უვნებლობის ქმედითი სისტემის დანერგვის მიზნით	მონიტორინგის პერიოდში დაიგეგმა სურსათის უვნებლობის ქმედითი	მონიტორინგის პერიოდში რეგიონში დაინერგა ეროვნული	დანერგილია ევროკავშირის სტანდარტების

მონიტორინგის პერიოდში ლონისძიებები არ განხორციელებულა	სისტემის დანერგვა	კანონმდებლობის შესაბამისი სურსათის უვნებლობის სისტემა	შესაბამისი სურსათის უვნებლობის სისტემა
---	-------------------	---	---

4.9 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთაშორისო და ეროვნული ცნობადობის ამაღლება, „დამბალხაჭოს“, როგორც ეროვნული არამატერიალური კულტურული ძეგლის და სხვა რეგიონული ბრენდების ექსპორტზე გატანის მხარდაჭერა; ადგილობრივი ბაზრის (თბილისი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა;

	1	2	3
სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის საერთაშორისო და ეროვნული ცნობადობის ამაღლება, რეგიონული ბრენდების ექსპორტზე გატანის მხარდაჭერა, ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილებაზე ზრუნვა მონიტორინგის პერიოდში არ მომხდარა	მონიტორინგის პერიოდში მოხდა სტრატეგიის 4.9 ამოცანის მხოლოდ ერთი პუნქტის დაკმაყოფილება	მონიტორინგის პერიოდში მოხდა სტრატეგიის 4.9 ამოცანის ორი პუნქტის დაკმაყოფილება	მონიტორინგის პერიოდში სრულყოფილად დაკმაყოფილდა სტრატეგიის 4.9 ამოცანის ყველა პუნქტი

4.10 აგროწარმოების ეკოლოგიზაცია, ბიოაგროწარმოების განვითარება და როგორც შიდა, ისე გარე ბაზრისთვის ბიოპროდუქციის წარმოება. სრული ციკლის ბიოაგროწარმოების კომპლექსების შექმნა;

	1	2	3
აგროწარმოების ეკოლოგიზაცია, ბიოაგროწარმოების განვითარება და როგორც შიდა, ისე გარე ბაზრისათვის ბიოპროდუქციის წარმოება, სრული ციკლის ბიოაგრარული კომპლექსების შექმნა მონიტორინგის პერიოდში არ მომხდარა	აგროწარმოების ეკოლოგიზაცია, ბიოაგროწარმოების განვითარება და როგორც შიდა, ისე გარე ბაზრისათვის ბიოპროდუქციის წარმოება, სრული ციკლის ბიოაგრარული კომპლექსების შექმნა მონიტორინგის პერიოდში დაგეგმვის ეტაპზეა	აგროწარმოების ეკოლოგიზაცია, ბიოაგროწარმოების განვითარება და როგორც შიდა, ისე გარე ბაზრისათვის ბიოპროდუქციის წარმოება მოხდა მონიტორინგის პერიოდში	აგროწარმოების ეკოლოგიზაცია, ბიოაგროწარმოების განვითარება და როგორც შიდა, ისე გარე ბაზრისათვის ბიოპროდუქციის წარმოება, სრული ციკლის ბიოაგრარული კომპლექსების შექმნა მონიტორინგის პერიოდში სრულფასოვნად განხორციელდა

4.11 ჯიშთა გამოცდისა და განახლების მეურნეობის შექმნა;

	1	2	3
ჯიშთა გამოცდისა და განახლების მეურნეობის შექმნა არ მომხდარა მონიტორინგის პერიოდში	მონიტორინგის პერიოდში დაგეგმილია ჯიშთა გამოცდისა და განახლების მეურნეობის შექმნა	ჯიშთა გამოცდისა და განახლების მეურნეობის შექმნა მოხდა მონიტორინგის პერიოდში	ჯიშთა გამოცდისა და განახლების მეურნეობის შექმნა მოხდა მონიტორინგის პერიოდში

4.12 ფერმერთა გადამზადება ბიოაგროწარმოების ასპექტში, მათი ინფორმირებულობა ახალი ტექნოლოგიებისა და ბაზრების, თანამედროვე ტექნოლოგიების და ჯიშების შესახებ; გადამზადება- კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინფორმაცია- კონსულტაციის მიღების ცენტრის შექმნა;

	1	2	3
ფერმერთა გადამზადება- ბიოაგროწარმოების ასპექტში არ მომხდარა	ფერმერთა ნაწილი გადამზადდა ბიოაგროწარმოების ასპექტში	ფერმერთა უმრავლესობა გადამზადდა ბიოაგროწარმოების ასპექტში	ყველა ფერმერი გადამზადდა ბიოაგროწარმოების ასპექტში

	1	2	3
ფერმერთა გადამზადება- კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინფორმაცია- კონსულტაციის მიღების ცენტრი არ შექმნილა	ფერმერთა გადამზადება- კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინფორმაცია- კონსულტაციის მიღების ცენტრის მშენებლობა იგეგმება	ფერმერთა გადამზადება- კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინფორმაცია- კონსულტაციის მიღების ცენტრი შეიქმნა	ფერმერთა გადამზადება- კვალიფიკაციის ამაღლებისა და ინფორმაცია- კონსულტაციის მიღების ცენტრი შეიქმნა და ფუნქციონირებს სრულფასოვნად

4.13 მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბალჩეულის, კარტოფილის, ხილის მოსავლიანობის გაზრდა ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით;

	1	2	3
მარცვლეულის, ბოსტნეულ- ბალჩეულის, კარტოფილის,	მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბალჩეულის,	მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბალჩეულის,	მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბალჩეულის,

ხილის მოსავლიანობის გაზრდა ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით არ მომხდარა მონიტორინგის პერიოდში	კარტოფილის, ხილის მოსავლიანობის გაზრდა ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა იგეგმება მონიტორინგის პერიოდში	კარტოფილის, ხილის მოსავლიანობის გაზრდა ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მონიტორინგის პერიოდში დაწყებულია	კარტოფილის, ხილის მოსავლიანობის გაზრდა ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით სრულფასოვნად მოხდა მონიტორინგის პერიოდში
--	--	---	---

4.14 შიდა სამეურნეო გზების, სარწყავი სისტემების და აგროწარმოების სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა;

	1	2	3
შიდა სამეურნეო გზების, სარწყავი სისტემების და აგროწარმოების სხვა ინფრასტრუქტურების მოწყობა არ მოხდარა	შიდა სამეურნეო გზების, სარწყავი სისტემების და აგროწარმოების სხვა ინფრასტრუქტურების მოწყობა იგეგმება მონიტორინგის პერიოდში	შიდა სამეურნეო გზების, სარწყავი სისტემების და აგროწარმოების სხვა ინფრასტრუქტურების მოწყობა დაწყებულია	შიდა სამეურნეო გზების, სარწყავი სისტემების და აგროწარმოების სხვა ინფრასტრუქტურების მოწყობა დასრულებულია მონიტორინგის პერიოდში

4.15 ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების, ტყის არამერქნული პროდუქტების (ხილი, კენკრა, სამკურნალო მცენარეები)დამზადება-გადამუშავება;

	1	2	3
ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების, ტყის არამერქნული პროდუქტების დამზადება-გადამუშავება არ მიმდინარეობს მონიტორინგის პერიოდში	ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების, ტყის არამერქნული პროდუქტების დამზადება-გადამუშავება იგეგმება მონიტორინგის პერიოდში	ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების, ტყის არამერქნული პროდუქტების დამზადება-გადამუშავება დაწყებულია მონიტორინგის პერიოდში	ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების, ტყის არამერქნული პროდუქტების დამზადება-გადამუშავება მიმდინარეობს მონიტორინგის პერიოდში

4.16 რეგიონის სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიკაცია საქართველოს განვითარების, ევროპასთან ინტეგრაციისა და საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით;

	1	2	3
რეგიონის სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაცია არ დაწყებულა	რეგიონის სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაცია დაგეგმვის ეტაპზეა	რეგიონის სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაცია დაწყებულია	რეგიონის სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაცია მოხდა მონიტორინგის პერიოდში

4.17 რეგიონის სოფლის კატეგორიის დასახლებებში საოჯახო მეურნეობების საქმიანობისა და მათი საჭიროებების შესწავლა; სოფლებში არსებული საქმიანობების დივერსიფიკაცია, რათა მაცხოვრებლებს ჰქონდეთ შემოსავლების სხვადასხვა წყაროებიდან მიღების შესაძლებლობა;

	1	2	3
სოფლის კატეგორიის დასახლებებში საოჯახო მეურნეობების საქმიანობისა და მათი საჭიროებების შესწავლა არ მომხდარა	სოფლის კატეგორიის დასახლებებში საოჯახო მეურნეობების საქმიანობისა და მათი საჭიროებების შესწავლა დაწყებულია	სოფლის კატეგორიის დასახლებებში საოჯახო მეურნეობების საქმიანობისა და მათი საჭიროებების შესწავლა დასრულებულია	სოფლის კატეგორიის დასახლებებში საოჯახო მეურნეობების საქმიანობისა და მათი საჭიროებების შესწავლა დასრულებულია და მიმდინარეობს არსებული საქმიანობების დოკუმენტიზაცია

4.18 საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სოფლის კატეგორიის დასახლებებში და მათი იდენტობის შენარჩუნება; საზოგადოების გააქტიურება სოფლის კატეგორიის დასახლებების განვითარებაში ჩასართავად.

	1	2	3
საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის სოფლის კატეგორიის დასახლებებში ღონისძიებები არ გატარებულა	საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის სოფლის კატეგორიის დასახლებებში ღონისძიებები დაგეგმვის ეტაპზეა	საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის სოფლის კატეგორიის დასახლებებში ღონისძიებები დაგეგმილია	საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის სოფლის კატეგორიის დასახლებებში ღონისძიებები განხორციელებულია

	1	2	3
მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებიდან ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს ა(ა)იპ დუშეთის კეთილმოწყობის სამსახური, ხოლო საშენებლო ნარჩენების დაყრის შემთხვევაში დამრღვევი პირი ჯარიმდება დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტატისტიკის, ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაცვის განყოფილების წარმომადგენლის მიერ. ნარჩენების სეპარაციას რაც შეეხება, მუნიციპალიტეტში აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დგას, ასევე ვცდილობთ აღმოვფხვრათ უკონტროლო ნაგავსაყრელები სოფლებში.

მუნიციპალური ცენტრსა და საკურორტო დასახლებებში (ფასანაური, ანანური, გუდაური, ბაზალეთი) რეგულარულ დასუფთავებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ "დუშეთის კეთილმოწყობის სამსახური".

მუნიციპალიტეტი სასოფლო, საქალაქო და სადაბო დასახლებებს უზრუნველყოფს გარე განათებით, ხოლო ისეთ მაღალმთიან სოფლებში, სადაც ელექტროენერგია არ არის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ენერგეტიკის პროგრამის (USAID/Energy Program) დახმარებით ადგილზე ხდება მზის პანელების დამონტაჟება. მზის პანელის სიმძლავრე 1 500 ვატია, რაც საკმარისია ერთდროულად რამდენიმე მოწყობილობის (სახლის განათება, ტელევიზორი, მაცივარი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა) ჩასართავად. მზის პანელების მიწოდება-მონტაჟსა და თანმდევ საგარანტიო მომსახურებას კომპანია „იუჯიტი“ ახორციელებს, ხოლო პროცესში აქტიურად არის ჩართული დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია მცხეთა მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან ერთად.

რაც შეეხება სახანძრო-სამაშველო მიმართულებას, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (დაბა ფასანაურსა და ქალაქ დუშეთში) აშენდა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ორი ცენტრი, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე სისტემების შესაბამისად.

დუშეთის მუნიციპალიტეტი ცდილობს ხელი შეუწყოს კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და ამ მიზნით დასახლებებში ხორციელდება, სკვერების, სპორტული დარბაზების და სათამაშო მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობას რაც შეეხება, მუნიციპალიტეტი აწესრიგებს მისასვლელ და შიდა გზებს, ეწყობა დასუფთავების აქციები, ხოლო სარიტუალო მომსახურებას უფასოდ უზრუნველყოფს ომის ვეტერანებისა და მიუსაფარი ადამიანებისათვის.

გამწვანებაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ დუშეთის კეთილმოწყობის სამსახური.

ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილია სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების უმრავლესობა, გარდა იმ სოფლებისა სადაც არ არის აღნიშნული ქსელი.

ქალაქ დუშეთში მიმდინარეობს ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე ობიექტების რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მესამე რეგიონული განვითარების პროგრამის (RDPIII) ფარგლებში. გარდა ამისა ხორციელდება კულტურის სახლების აღდგენა სოფლებში, განახლდა კულტურის სახლი ქალაქ დუშეთშიც.

უპატრონო ცხოველების საკითხზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, ხდება მათი სტერილიზაცია ხოლო ტენდერს აცხადებს ა(ა)იპ "დუშეთის კეთილმოწყობის სამსახური".

ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და სხვადასხვა ორგანიზაციათა ჩართულობით მიმდინარეობს, ინტერნეტი ჩაერთო მაღალმთიან დასახლებებში, რაც მოსახლეობას კომუნიკაციას გაუადვილებს.

დანართი 3

მცხეთის მუნიციპალიტეტი

2015-2017 სამოქმედო გეგმით მცხეთის მუნიციპალიტეტს ევალებოდა შემდეგი ამოცანების განხორციელება: მუნიციპალური თვითმმართველობის სრულყოფა, სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება, სოციალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება.

მათგან მიღებული იქნა შემდეგი ინფორმაცია:

მცხეთის მუნიციპალიტეტში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, ქალაქ მცხეთაში მოეწყო 3 მოსაცდელი, ხოლო სოფლებში: ქსანში - 3, ქსოვრისში - 1, ძეგვში -1, ნავდარაანთკარში - 1, გალავანში - 1, ბიწმენდში - 1 და ნიჩბისში 1 მოსაცდელი;

ქალაქ მცხეთაში აშენდა ღართიკარი-ნარეკვავის დამაკავშირებელი ხიდი და ამჟამად, მდინარე მტკვარზე მიმდინარეობს ახალი ხიდის მშენებლობა; აშენდა ლისი-წოდორეთის დამაკავშირებელი ხიდი და ბევრეთი-ძალაანთხევის დამაკავშირებელი მცირე ზომის ხიდი;

მცხეთის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ფარგლებში, განხორციელდა მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში არსებული სოფლების როგორც შიდა საუბნო გზების, ისე ცენტრალური გზების და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია; სისტემატურად ხორციელდება სოფლების შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოსწორება. 2014 წლიდან დღემდე გზების რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა ქ. მცხეთასა და სოფლებში: წეროვანში, ძალისში, ჩარდახში, გოროვანში, ვაზიანში, წიწამურში, ნავაზში, ძეგვში, გალავანში, ახალდაბაში, წინამძღვრიანთკარში, არაშენდაში, ვარდისუბანში, ფრეხეთში, ნაფეტვრებში, საგურამოში, წილკანში, მისაქციელში, ნატახტარში, ლისში, წოდორეთში, ბიწმენდში, ჯილაურაში, ახალსოფელსა და ხეკორძში. გარდა ამისა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ხორციელდება საგზაო ნიშნების მოწყობა და გზების დახაზვა;

ნატახტრის ადგილობრივი მნიშვნელობის აეროდრომიდან, რომელიც არის შპს „სერვისეირის“ მფლობელობაში, ფრენები სრულდება მაღალმთიანი დასახლებების - მესტიის და ამბროლაურის მიმართულებით;

სამწუხაროდ, დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს მუნიციპალური ტრანსპორტი და მგზავრთა გადაყვანას როგორც ქალაქ მცხეთაში, ასევე მცხეთიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან დედაქალაქის მიმართულებით უზრუნველყოფენ ინდ. მეწარმე მძღოლები;

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ცენტრალური სისტემით ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდებისათვის განხორციელდა სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ახალი ჰაბურდილებისა და რეზერვუარების მოწყობის, სოფლების დაქსელვის, ძველი, ამორტიზებული მილების შეცვლის და სათავე ნაგებობების მოწყობის სამუშაოები. ქალაქ მცხეთაში მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, ხოლო სოფლებში შპს „მცხეთის სოფწყალი“;

- მუნიციპალიტეტის ხარისხიანი და უწყვეტი ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად, სოფლებში განხორციელდა გარე განათების მოწყობის სამუშაოები. მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფლის ცენტრალურ გზაზე მოწყობილია გარე განათების სისტემები; ასევე უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია მოსახლეობას. ელექტროენერგიის მიწოდების გარეშე დარჩენილია ნიჩბისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზემო ნიჩბისის შემადგენლობაში არსებული დასახლება, ეგრეთწოდებული „ზეუბანი“;

მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალ თითქმის ყველა სოფელს მიეწოდება ბუნებრივი აირი, გაზიფიცირების გარეშე დარჩენილია სოფლები: სხალტბა, ნახშირგორა, ბევრეთი, ძალაანთხევი, ტაბარუკი და ე.წ. „ზეუბნის“ დასახლება;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალანიერების და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებისათვის განხორციელდა სანიაღვრე სისტემების მოწყობა შემდეგ სოფლებში: წილკანში, მუხრანში, საგურამოში, გალავანში, ზაქაროსა და წეროვნის დევნილთა დასახლებაში;

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 19 დეკემბრის Nს-872 ბრძანებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის შემუშავების მიზნით, შეიქმნა

სამუშაო ჯგუფი, ხოლო მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 თებერვლის N47 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა;

ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ წესდების შესაბამისად, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, ახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია, სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა; საგზაო ნიშნების მოსაწყობად ტექნიკური სამუშაოების წარმოება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა;

მუნიციპალიტეტში კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარების ფარგლებში, ქალაქ მცხეთაში აშენდა კულტურის სახლი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი; რეაბილიტაცია ჩატარდა სოფლებში: მუხრანში, ნიჩბისსა და ნატახტარში მდებარე კულტურის სახლებს; სპორტული მოედნები მოეწყო როგორც ქალაქ მცხეთაში, ისე მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: წილკანში, წეროვანში, პატარა ქანდაში, მუხრანში, ძეგვში, ქსანში, ვაზიანში, ნავაზში, მუხათგვერდში, ძალისში, მისაქციელში, ნავდარაანთკარში, საგურამოსა და ციხისძირში;

დასახლებების გარეგნული იერ-სახის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია და ახალი ობიექტების მშენებლობა;

„მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის, აგრეთვე ძაღლის ან/და კატის ყოფნის/ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 სექტემბრის N71 დადგენილებით განსაზღვრულია შინაური ცხოველების ყოლის წესი;

მუნიციპალიტეტის დასახლებათა უმრავლესობა უზრუნველყოფილია ინტერნეტკავშირით; ინტერნეტი არ მიეწოდება შემდეგ სოფლებს: ქსოვრისს, სხალტბას, ფრეხეთს, უფურეთს, ახალდაბას, კოტორაანთკარს, ბურიანს, ნახშირგორას, ბევრეთს, ძალაანთხევს, ტაბარუკს და ე.წ. „ზეუზნის“ დასახლებას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინტერნეტის მოწოდებას ახორციელებენ ისეთი კომპანიები, როგორიცაა: მაგთიკომი, სილქნეტი, ინტერკომი, სქაიტელი, POWERNET, აირკონექტი, ალტერნეტი, ენბინეტი და იმპულსი.

დანართი 4

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

2015-2017 სამოქმედო გეგმით დუშეთის მუნიციპალიტეტს ევალებოდა შემდეგი ამოცანების განხორციელება: მუნიციპალური თვითმმართველობის სრულყოფა, სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება, სოციალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება.

მათგან მიღებული იქნა შემდეგი ინფორმაცია:

ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური სისტემატიურად ახდენს სოფლებში ნაგვის ურნების დაცლას ნარჩენისგან.

მუნიციპალიტეტში სანიტარული წესრიგის შენარჩუნებას და გაუმჯობესებას; ნარჩენების სრული იზოლირებას მოსახლეობისა და გარემოსაგან;

სხვადასხვა სპორტული დაკულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვადსუფთავებას და მის ოპერატიულად გატანას, ასევე მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების

მოვლას და გამწვანების სამუშაოების ჩატარებას, სასაფლაოების მოვლა- პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ყაზბეგის კეთილმოწყობის სამსახური.

დაბა სტეფანწმინდაში შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს ქუჩების რეგულარულ დასუფთავებას.

გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა) იპ ყაზბეგის კეთილმოწყობის სამსახური. სოფლების შიდა გზების რეაბილიტაციასთან ერთად მოწყობილია გარე განათებაც.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სახანძრო-სამაშველო სამსახური, რომლის მშენებლობა 2017 წელს დასრულდა. ორსართულიანი შენობა თანამედროვე ინვენტარითა და უახლესი ტექნიკით არის უზრუნველყოფილი. ამჟამად მიმდინარეობს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის“ სამშენებლო სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა) იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური, მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 4 სოფლის სასაფლაოს ტერიტორია შემოიღობა.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლება გაზიფიცირებულია და ელ-ენერგია მიეწოდება მუდმივად.

სოფლების უმეტესობა უზრუნველყოფილია ინტერნეტკავშირით.

სოფ. სნოს საბავშვო ბაღს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია

სოფელ სიონში საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 2015 -2016 წელი:

აშენდა სოფ. ყანობის საბავშვო ბაღი- 2017-2018 წ.წ.

აშენდა სოფ. აჩხოტის საბავშვო ბაღი- 2017 წ.

სსიპ დაბა სტეფანწმინდის #1 საჯარო სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია - 2017 წ

რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ არშის, სიონის, გარბანის, სნოს, გუდაურის, ყანობისა და გორისციხის სკოლებს.

დაბა სტეფანწმინდის სპორტ-კომპლექსის მშენებლობა-რეაბილიტაცია

რეაბილიტირდა სოფელ სნოს, გორისციხისა და სიონის ამბულატორია.

რეაბილიტირდა სოფ.სიონის კულტურულ- ახალგაზრდული ცენტრი

აშენდა სოფ.ფანშეტის ხიდი

სოფელ ახალციხეში განხორციელდა წყლის ახალი მაგისტრალის მშენებლობა

სოფელ სიონში განხორციელდა წყლის ახალი მაგისტრალის მშენებლობა

აშენდა სოფელ ხურთისის მიმართულებით სახიდე გადასასვლელი

სოფ. სიონში სასმელი წყლის სისტემის შიდა ქსელის რეაბილიტაცია განხორციელდა – 2016 წ.

სოფ. გორისციხეში საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა განხორციელდა - 2016 წ.

სოფ. არშაში საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა განხორციელდა - 2016 წ.

სოფ. ტყარშეტში საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა განხორციელდა - 2016 წ.

დაბა სტეფანწმინდაში რეაბილიტირდა გ.სააკაძის ქუჩა - 2015 წ.

სოფ. ყანობის გზის სარეაბილიტაციო გამაგრებითი სამუშაოები განხორციელდა - 2015 წ.

2015 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიძინა 55 ცალი ახალი ნარჩენებისა და ნაგვის კონტეინერი.

განხორციელდა დაბა სტეფანწმინდაში სკვერის რეაბილიტაცია - 2015 წელი

სოფ. სნოში სპორტული დარბაზის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები - 2015 წელი;

განხორციელდა სოფელ გარბანში საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა - 2016 წ.

განხორციელდა სოფელ ყანობში საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა - 2016

დაბა სტეფანწმინდაში განხორციელდა ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია - 2016

მდ. ჩხერეზე განხორციელდა 75 მეტრის სიგრძის სახიდე გადასასვლელის მშენებლობა - 2016 (საავტომობილო გზების დეპარტამენტი)

რეაბილიტირდა სოფ. გორისციხე - ფხელშეს გზა - 2016

2017 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჰიდროელექტროსადგური - „დარიალი ჰესი“ გაიხსნა

2017 წელს განხორციელდა სოფელი კარკუჩის საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა.

2017 წელს აშენდა სოფელ ხურთისის რიტუალების სახლი

2017 წელს განხორციელდა სოფ. სიონის საკანალიზაციო ქსელის სამშენებლო სამუშაოები

2017 წელს განხორციელდა სოფელ ფხელშის რიტუალების სახლის მშენებლობა

2017 -2018 წ.წ. რეაბილიტირდა დაბა სტეფანწმინდაში მერაბ კოსტავას ქუჩა;

2017 -2018 წ.წ. დაბა სტეფანწმინდაში ილია ჭავჭავაძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია;

2017 წელი სოფელი ფხელშის ხიდის სრული რეაბილიტაცია

2017 წ. დაბა სტეფანწმინდაში ვიქტორ ფიცხელაურის ქუჩის სრული რეაბილიტაცია

2017 წ. დაბა სტეფანწმინდაში შოთა რუსთაველის ქუჩის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა

2017 წ. განხორციელდა დაბა სტეფანწმინდაში თერგდალეულთა ქუჩაზე არსებულ სასტუმროსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

2017 წ. სოფელ ტყარშეტში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა

2017 წ. სოფელ ჯუთის რიტუალების სახლი აშენდა

2017 წლის ივლისში ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციამ თრუსოს ტურისტული ბილიკის მარკირების პროექტის განხორციელა.

2018 წ. დაბა სტეფანწმინდაში ილია II-ის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა

2018-2019 წ.წ საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 124+374-ზე, მდინარე თერგზე არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია განხორციელდა

2018 წ. გერგეტის უბნის სანიაღვრე ქსელის მოწყობისა და სტეფანწმინდიდან გერგეტის სამებამდე მისასვლელი შემოვლითი გზის მშენებლობის სამუშაოები განხორციელდა

აშენდა სოფ გერგეტის დაწყებითი სკოლა- 2017-2018

2017-2018 წ.წ. გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) დაფინანსებით აშენდა ვიზიტორთა ცენტრი.

2017 წელს დასრულდა დაბა სტეფანწმინდის კულტურის სახლის მშენებლობა,

2017-2018 წ.წ. გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) დაფინანსებით აშენდა ვიზიტორთა ცენტრი.

მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსდა საგზაო საინფორმაციო დაფები. გერგეტის უბნის ზოგიერთ და დაბა სტეფანწმინდის ყველა ქუჩაზე დამონტაჟდა ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის ნიშნები.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს მუშაობა ნარჩენების სეპარირების საკითხზე.

ბოლო წლებში გაუქმდა რამდენიმე სტიქიური ნაგავსაყრელი, პერიოდულად ეწყობა დასუფთავების აქციები.

დანართი 5

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობები „მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით:

გატარებული ორგანიზაციული ღონისძიებები:

პარტნიორი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების, ცალკეული სპეციალისტების მონაწილეობით სააგენტოსთან შეიქმნა დარგობრივი და ტერიტორიული კომისიები, სამუშაო ჯგუფები, რომლებშიც დღეისათვის 80-მდე სხვადასხვა დარგის სპეციალისტია ჩართული.

პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით დავბეჭდეთ მცხეთა-მთიანეთის ახალი დღის წესრიგი ქართულ და ინგლისურ ენებზე (2016).

შეხვედრები მოეწყო სამინისტროებთან, მოხდა მცხეთა-მთიანეთის მიზნების გაცნობა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოვაწყვეთ პრეზენტაცია ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელობასა და პერსპექტივაზე საქართველოსათვის.

მცხეთა-მთიანეთი როგორც რეგიონი, დუშეთი, თიანეთი, მცხეთა და ყაზბეგი გახდნენ „მერების შეთანხმების“ წევრები

შეხვედრები დონორ ორგანიზაციებთან (გაეროს განვითარების პროგრამა, შვედეთის, ჩეხეთის და ავსტრიის განვითარების სააგენტოები, გერმანიის ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა და სხვა.) ამ შეხვედრების ლოგიკური შედეგია ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ მცხეთა-მთიანეთის გამოცხადება მის პრიორიტეტულ რეგიონად და 1.5 მლნ ევროს გამოყოფა ფშავ-ხევსურეთ-გუდამაყრის მდგრადი განვითარებისათვის, ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ 800 ათასი ევროს გამოყოფა იგივე მიზნობრივ არეალში ეკონომიკური განვითარებისათვის (2019-2023), ჯი-აი-ზეტის მიერ თიანეთის შეტანა საპილოტეტედ კლიმატის გლობალური ფონდისათვის მომზადებულ ტყეების მდგრადი მართვის პროექტში (2020-2024)

ღონისძიებები:

- ბათუმის მინისტერიალში მონაწილეობა
- ორი ეთნო-კულტურული გამოფენის მოწყობა მცხეთაში საკუთარი რესურსებით;
- შეხვედრები საფინანსო ინსტიტუტებთან (სლოვაკეთი, ჩეხეთი, ავსტრია)
- ვიზიტი ჩეხეთ-ავსტრიაში. შეხვედრების დონორებთან, ოფიციალურ სტრუქტურებთან და სხვა, მათ შორის პრადის ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელ გრიგორი ბუზნოვთან და მის ბიზნეს პარტნიორებთან. განხილულ იქნა თანამშრომლობის პერსპექტივები ალტერნატიული ენერგიებისა და ენერგოეფექტურობის ასპექტში;
- რეგიონის მონაწილეობა ბათუმის ტურიზმის გამოფენაში. სტენდის დაფინანსება;
- რეგიონული ბიზნეს ფორუმების მოწყობა (ესპანელების, ებრაელების, ლატვიის, რუსეთის, უკრაინის, ჩეხეთის);
- მცხეთა-მთიანეთის დამეგობრება ჩეხეთში პარდუბიცეს მხარესთან
- თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება პარდუბიცეს რეგიონული განვითარების სააგენტოსთან
- სააგენტო ჩაერთო მუხრანის ტურისტული კლასტერის გეგმის შემუშავებაში ტენდერში გამარჯვებულ ირლანდიურ კომპანიასთან.

- მოხდა ათამდე გასვლა რეგიონის მთის ზონაში მთის კანონის რეალიზების ხელშეწყობის, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ბიზნეს იდეების მიწოდების და პროექტების შედგენაში ხელშეწყობის მიზნით.
- 2016 წლის ოქტომბერში სააგენტოს ინიციატივით მცხეთაში გაიმართა ორი ეთნო-კულტურული ღონისძიება, სადაც გამოიფინა რეგიონული პროდუქტები, მოხდა ტრადიციული ხელსაქმის დემონსტრირება, გაიმართა შემოქმედებითი ღონისძიებები.
- მოვამზადეთ ფშავის მდგრადი განვითარების კონცეფცია. ეს გახდა საფუძველი ჩეხებისთვის რომ ხუთწლიანი პროგრამა დაეწყოთ ჩვენს რეგიონში.

საკონსულტაციო მომსახურება

- ფერმერებთან (თიანეთის ექსპედიცია, ებრაელი კონსულტანტის ჩამოყვანა და ფერმერებთან შეხვედრის ორგანიზება მარწყვის მოშენების თაობაზე, ბიო ქათმის ფერმა, თევზის მეურნეობა და სხვა)
- მიზნობრივ ჯგუფებთან - ევროპის სასოფლო და ეკოლოგიური ტურიზმის ასოციაციის საოჯახო სასტუმროს სტანდარტის დანერგვასთან დაკავშირებით.
- შეხვედრა რეგიონის მსხვილ ბიზნესთან. ეკონომიკის „გამწვანების“ და სოციალიზაციის საკითხის დაყენება.
- მიკრო ბიზნესის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მეწარმეების დახმარება პროექტების მომზადებაში
- ჩეხეთიდან სპეციალისტების ჩამოყვანა იქაური სოფლის განვითარების გამოცდილების გასაზიარებლად.

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- ებრაელი პარტნიორების მიერ ნაჩუქარი აგროკლიმატური სადგური დავდგით წინამძღვრიანთკარის კოლეჯის ტერიტორიაზე.
- შემოქმედებითი მცხეთა-მთიანეთის პროგრამა
სააგენტოს მიერ მომზადებულმა პროექტმა გაიმარჯვა ევროკავშირის კონკურსში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებასთან დაკავშირებით და საქართველოდან მცხეთა-მთიანეთი გახდა საპილოტე.
- საინფორმაციო ტურისტული ცენტრების შექმნა

- ბიზნეს ინკუბატორი-სოციალური საწარმო (ენერგოეფექტური სათბურების და ღუმელების წარმოება) ჩვენი ხელშეწყობით ახორციელებს პარტნიორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.
- შევიმუშავეთ ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების უნივერსალური მოდელი. თიანეთის მუნიციპალიტეტი გავხადეთ IFOAM-ის (ორგანული სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფედერაცია) წევრი. ურთიერთობა დავამყარეთ ავსტრიის ორგანული სოფლის მეურნეობის ასოციაციასთან (BIOAUSTRIA), 2020 წლიდან ავსტრიის განვითარების სააგენტო ამ მიართულებას დაუჭერს მხარს ჩვენს რეგიონში;
- ქალთა ბიზნესი-ქეთერინგი. ტურისტების კვებით მომსახურება ბუნებაში. ჩვენი ხელშეწყობით ახორციელებს პარტნიორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.
- ფშავ-ხევსურეთში ტურიზმის განვითარებისათვის ჩეხურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთობლივი პროექტი. დაფინანსდა ჩეხური და სლოვაკური ფონდების მიერ. (შემუშავდა ახალი ტურისტული მარშრუტები, დაიბეჭდა და გავრცელდა რეკომენდაციები საოჯახო სასტუმროების მოწყობის მსურველებისათვის და სხვა)
- ფშავ-ხევსურეთ-გუდამაყრის მდგრადი განვითარების პროექტი (2019-2023), ამ პროექტის იდეა, ინიციატივა, დაფინანსების მოპოვება (2.3 მლნ.ევრო) მთლიანად სააგენტოს დამსახურებაა
- სააგენტოს ინიციატივით თიანეთი შერჩეულ იქნა საპილოტედ ტყის მდგრადი მართვის პროექტში, რომლის დაფინანსებაც გათვალისწინებულია 2020-2024 წლებში კლიმატის გლობალური ფონდიდან.(საორიენტაციო ბიუჯეტი 5-6 მლნ დოლარი).

დანართი 6

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ტურისტული პროდუქტისა და მცირე ინფრასტრუქტურის სამმართველოს მიერ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში განხორციელებული საქმიანობა 2016-2017 სამოქმედო გეგმის მიხედვით:

2016 წელი

ღვინის გზის პროექტის განახლების ფარგლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პროექტი მომზადდა და საგზაო მანიშნებლების მონტაჟი განხორციელდა 7 ობიექტისათვის (იაგოს მარანი, გურამიშვილის მარანი, სახდელი რირავო, ქართული ღვინის პალატა, გიორგი ბარისაშვილის მარანი, ნები ასლანიშვილი მარანი, მარანი ოქროს აკვანი).

განხორციელდა მცხეთის ისტორიული ძეგლების (სვეტიცხოველის ტაძარი, შიომღვიმე, სამთავროს კომპლექსი, ანტიოქიის ტაძარი) და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შშმ პირთათვის ადაპტირების სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ზემოხსენებულ ძეგლებთან მოეწყო პანდუსები ეტლით მოსარგებლეებისათვის, ძეგლების მაკეტები უსინათლოთათვის და აშ.

სასურათე ჩარჩო - გუდაურში, კურორტის სოციალური ქსელების მეშვეობით რეკლამირებისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით, განხორციელდა სასურათე ჩარჩოს მონტაჟი.

2016 წელს მცხეთა-მთიანეთში ჩატარებული ტრენინგები:

1. „ღვინო როგორც ტურისტული პროდუქტი“ - ქ.მცხეთა გადამზადდა 15 ადამიანი
2. „გამყოლების ტექნიკა და მეთოდოლოგია კომბინირებულ ალპინისტურ მარშრუტებზე“ - დაბა სტეფანწმინდა გადამზადდა 25 ადამიანი

2017 წელს მცხეთა-მთიანეთში ჩატარებული ტრენინგები:

1. „გიდის უნარ-ჩვევები“- ქ.მცხეთა გადამზადდა 15 ადამიანი

2017 წელი

სასურათე ჩარჩო - შატილში, ისტორიული ძეგლის სოციალური ქსელების მეშვეობით რეკლამირებისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით, განხორციელდა სასურათე ჩარჩოს მონტაჟი.

2017 წელი

ღონისძიება “ველომარათონი”

ა.წ 29 ივლისს, გუდაურში გაიმართა სამთო ველოსპორტში ტურნირი. ტურნირი მოეწყო 20 მოყვარულ ველო მრბოლელს შორის, რომლებსაც ქონდათ გამოცდილება სამთო ველო სპორტში. შეჯიბრის მსვლელობას აკონტროლებდნენ ტრასაზე განლაგებული მსაჯები. ტურნირის მიხედვით გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომლებსაც გადაეცათ, მედლები, სიგელები და სპეციალური პრიზები. სპეციალურად ტურნირისთვის მოეწყო მონაწილეების მოსასვენებელი სივრცე, ტურნირის მონაწილეებს საშუალება ქონდათ მიერთვათ საკვები და გამაგრებელი სასმელები. ტერიტორიაზე დღის განმავლობაში უკრავდა DJ.

„ოქროსფერი შემოდგომა“

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს თიანეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა ღონისძიება „მწვანე მუნიციპალიტეტის ოქროსფერი შემოდგომა“. ღონისძიება ჩატარდა თიანეთის ცენტრში, ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ნატურალური პროდუქტებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა.

დანართი 7

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2014 წლიდან დღემდე სამინისტრო საქართველოს მასშტაბით ახორციელებს პროგრამებს/ღონისძიებებს. რომლებშიც, შესაბამისად ჩართულია მცხეთა-მთიანეთის რეგიონიც:

- ✓ „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების“ ქვეპროგრამა პროგრამა „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“
- ✓ „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების“ ქვეპროგრამა
- ✓ სასკოლო კონკურსები;
- ✓ სასკოლო ინიციატივების, თავისუფალი გაკვეთილების დაფინანსება

(2014-2018 წლებში დაფინანსებულია 134 სასკოლო პროექტი/წრე);

2016 წლიდან ამოქმედდა მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები სპორტის სფეროში

დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარებისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N436 დადგენილების საფუძველზე. პროგრამაში ჩართულია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში თიანეთის (14), ყაზბეგისა (8) და დუშეთის (12) მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 34 მწვრთნელი, რომელიც ყოველთვიურად მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ანაზღაურებაზე დამატებით იღებს 50, 60 ან 70 ლარს, რომელიც დადგენილი კრიტერიუმებით განისაზღვრება. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში თიანეთის (2015).

ყაზბეგის (2016) და დუშეთის (2015) მუნიციპალიტეტებში დამონტაჟდა თითო ერთეული გარე სავარჯიშო მოწყობილობა; 2017 წლიდან საქართველო შეუერთდა ევროკავშირის ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებას "ევროპის სპორტის კვირეული", რომელიც ორივე წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა და მიზნად ისახავს მასობრივი სპორტისა და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას, ღონისძიების კოორდინატორია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ფუნქციონირებს ორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება: სსიპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა - გუდაური; სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი - მცხეთა (ფილიალები: თიანეთი, სტეფანწმინდა).

რეგიონის მოსახლეობისათვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის, აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ არაერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ინჟინერიისა და ხელოვნების მიმართულებით. ასევე, აღნიშნულ რეგიონში იგეგმება პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების განხორციელება, რომლის დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატი.

კულტურულ ძეგლთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაგეგმილია "სსიპ - ილიაწინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის" ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლის აღდგენითი სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მასშტაბით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის, ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა

იდენტიფიკაციის მიზნით, დამტკიცდა „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/N ბრძანება. აღნიშნული ბრძანების მიხედვით, განისაზღვრა მულტიდისციპლინური გუნდის (სპეციალისტთა გუნდის) ცნება, რომლის ამოცანაა, ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით, პირის შეფასება და მისთვის განათლების საუკეთესო ფორმის არჩევა; ამასთან, გაიზარდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების ჩამონათვალი, კერძოდ: სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ჟესტური ენის სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, ქცევის მართვის თერაპევტი და მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, რომელთა მიზანია, მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მისი სასწავლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობა. რესურს ოთახის სახით, სასწავლო დაწესებულებებს გამოეყოთ სკოლაში არსებული სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომია მასწავლებლების, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისათვის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის და აღჭურვილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. გარდა ზემოაღნიშნულისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიულ განათლებაში ჩართვის და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, „ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ ქვეპროგრამის ფარგლებში, შშმ და სსსმ მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციის და პროფესიული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებულია შშმ და სსსმ მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული პროფესიული ინტერესების საკვლევი ინსტრუმენტი და სხვა.

ასევე, 2014-2018 წლებში მცხეთა მთიანეთის მუნიციპალიტეტში აშენდა 4

ახალი საჯარო სკოლა ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით 5 820 796 ლარი.

აღნიშნული სკოლებია:

- ✓ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკნის საჯარო სკოლა- 450 მოსწავლეზე

გათვლილი შენობა;

- ✓ ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის No1 საჯარო სკოლა (მეორე სასწავლო კორპუსი)-240 მოსწავლეზე გათვლილი შენობა
- ✓ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიმონიანთხევის საჯარო სკოლა (სოფელ გორანის დაწყებითი სკოლის შენობა)- 20 მოსწავლეზე გათვლილი შენობა
- ✓ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა სტეფანწმინდის No1 საჯარო სკოლა (შერწყმული გერგეთის დაწყებითი სკოლა)-20 მოსწავლეზე გათვლილი შენობა

2014-2018 წლებში სააგენტოს მიერ განხორციელდა 3 სკოლის სრული რეაბილიტაცია და 62 საჯარო სკოლაში ნაწილობრივი რეაბილიტაციის 128 ინფრასტრუქტურული პროექტი. ასევე MCC (ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო) პროექტის ფარგლებში და სააგენტოს თანამონაწილეობით განხორციელდა 2 სკოლის სრული რეაბილიტაცია: დაბა თიანეთის No1 საჯარო სკოლა, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვის საჯარო სკოლა.

დანართი 8

ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ მიერ 2016-2017 წლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი პროექტის მიზანი: - პროექტის მიზანია სოფლად მცხოვრები ფერმერებისა და გლეხებისათვის, რომლებიც წლების მანძილზე მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავებას ვერ ახერხებდნენ ხვნის პროცესში დახმარება. პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, ფერმერებმა და გლეხებმა სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი; პროექტის ფარგლებში დამზადდა საბანკო ბარათი, ე.წ. „აგრობარათი“. ოთხწლიანი პროექტის განხორციელების შედეგად, პრაქტიკულად მიტოვებულ, ყამირად ქცეულ მიწებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება დაუბრუნდათ.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში ბენეფიციართათვის გამოყოფილი სარგებელი: 2016 წელს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში განისაზღვრა 40,411

ბენეფიციარი. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებმა მიიღეს 2,153,242 ლარის ღირებულების სარგებელი. ჯამში დამუშავდა 9,320 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი პროექტი: პროექტის მიზანია, აგრომეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამამუშავებელი წარმოების, აგროპროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულებით დასაქმებული ფერმერები და საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ აგროკრედიტს და აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. კრედიტებს/ლიზინგებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები/საფინანსო ინსტიტუტები (12 ბანკი და 3 სალიზინგო ორგანიზაცია), ხოლო სააგენტო ახორციელებს სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის/ლიზინგის საზღაურის თანადაფინანსებას. უნდა აღინიშნოს, რომ აგროსექტორით საბანკო/სალიზინგო სექტორის დაინტერესება პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებას უწყობს ხელს. აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი. შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 31.08.2019 წლის თარიღის მდგომარეობით გაიცა 44,499,681 ლარის ღირებულების 590 სესხი, სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 6,651,778 ლარი.

სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ - პროგრამის მიზანია: პროგრამის ფარგლებში, ფერმერებს საშუალება აქვთ სახელმწიფო თანადაფინანსების დახმარებით, გააშენონ მრავალწლიანი ხეხილის ბაღები, კენკროვანი კულტურები და შექმნან სანერგე მეურნეობები. პროგრამის განხორციელება 2015 წლის მარტში დაიწყო და მისი მთავარი მიზანია, მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამასთანავე, კენკროვანი კულტურების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის მიზანია დაბალი აქტივობის ცალკეულ სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც მაღალია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფრაგმენტაცია და ვერ ხდება მიწის ნაკვეთების გაერთიანება, საკარმიდამო კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე კენკროვანი კულტურების ეფექტური წარმოება. დანერგე მომავლის პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულია ბაღების 34 განაცხადი. ბაღების კომპონენტში გაშენებული/დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 114 ჰა-ს. სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ შეადგინა 714,963

ლარი. 30.09.2019 თარიღის მდგომარეობით (იგივეა რაც 2019 წლის განმავლობაში) დანერგე მომავლის პროგრამის კენკროვანი კულტურების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში დამტკიცებულია 13 განაცხადი. გაშენებული/დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 4.90 ჰა-ს. სააგენტოს დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 115,292 ლარი.

აგროდაზღვევის პროგრამა პროგრამის მიზანი: აგროდაზღვევის პროგრამის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა. პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან. აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში, ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ დააზღვიონ მოსავალი სეტყვის, წყალდიდობის, ქარიშხლისა და საშემოდგომო ყინვისგან. 2014-2019 წლებში 30.09.2019 თარიღის მდგომარეობით აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 261 პოლისი. დაზღვეულ იქნა 1,774,884 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. სულ დაზღვეულია 317 ჰა მიწის ფართობი. ჯამში სააგენტოს სუბსიდიის თანხამ შეადგინა 123,926 ლარი. 2014-2019 წლებში ანაზღაურებულმა ზარალმა შეადგინა - 12,291 ლარი.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი -პროექტის მიზანი: საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი გადამამუშავებელ და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება. 30.09.2019 თარიღის მდგომარეობით სულ პროექტის ფარგლებში დამტკიცებულია 8 პროექტი - ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 12,339,693 ლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 4,073,757 ლარი. აქედან გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 6 პროექტი ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 9,468,296 ლარი, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 2,948,349 ლარი. შემნახველი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 2 პროექტი ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 2,871,397 ლარი, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 1,125,408 ლარი.

„სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR)“ თანადაფინანსების პროგრამა - პროგრამის მიზანი: პროგრამა მიზნად ისახავს პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობას; მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობას; საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. პროგრამა მოიცავს კომპონენტებს, როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებისთვის. პირველადი წარმოების კომპონენტის ფარგლებში გაფორმდა 14 ხელშეკრულება. ჯამური ინვესტიციით 1,390,440 ლარი, სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 549,171 ლარს; გადამამუშავებელი და

შემნახველი საწარმოების კომპონენტში გაფორმებულია 2 ხელშეკრულება, ჯამური ინვესტიციით 981,708 ლარი, სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 392,683 ლარს.

სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - „ახალგაზრდა მეწარმე“ -პროგრამის მიზანი: პროგრამა ითვალისწინებს ახალი ბიზნესის დასაწყებად პოტენციური ბენეფიციარებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას, რომელსაც გააჩნია სამი ეტაპი: • თანადაფინანსების მიღებამდე ტექნიკური დახმარება (განმახორციელებელი სუბიექტი: სამინისტრო); • თანადაფინანსება - ფინანსური დახმარება (განმახორციელებელი სუბიექტი: სააგენტო); თანადაფინანსების შემდგომი ტექნიკური დახმარება (განმახორციელებელი სუბიექტი: სამინისტრო).